

შპს „ქორბუდას“ დაჯარიმების შე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მერიას 21.07.2014წლის №ხ-5613 განცხადებით მომართაა, მოქალაქე ზურაბ ხარჩილაევამ (მცხ. ქ.ბათუმი იმედაშვილის ქ.№27/33). აღნიშნული განცხადებით მოქალაქე ითხოვდა ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №12 (ნაკ.№1-3-2) მშენებლობადასრულებული სამონადირეო მაღაზიის ექსპლუატაციაში მიღებას.

შემოწმებით დადგინდა, რომ დარღვეულია სანებართო პირობები. კერძოდ, დარღვეულია ობიექტის ექსპლუატაციაში წარსადგენი ვადები.

აღნიშნულით დარღვეულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რაც ითვალისწინებს დამრღვევის დაჯარიმებას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შპს „ქორბუდა“ ქ.ქუთაისი ნიკეას ქუჩა №12-ში (ნაკ.№1-3-2) პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაჯარიმდეს 1000 /ათასი/ ლარით.
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დაჯარიმება დამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისაგან, ასევე, დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიღებულ იქნება გადაწყვეტილება საურავის დაკისრების შესახებ.
3. ჯარიმა ჩაირიცხოს: მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, მიმღები ბანკის კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი 300183263, შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევებიდან.
4. სამართალდამრღვევმა ჯარიმის თანხა უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 30 დღეში.
5. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალეზ პირადად.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში.
7. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი